

ინტერსუბიექტურობის დაფუძნება ედმუნდ ჰუსერლის  
ფენომენოლოგიაში

გიგლა გონაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლუკა ნახუცრიშვილი, ასოცირებული პროფესორი  
ფილოსოფიის მიმართულებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

გიგლა გონაშვილი /

06/07/2015

## აბსტრაქტი

ედმუნდ ჰუსერლის ფილოსოფიის მთავარი გამოწვევა სხვა სუბიექტ(ებ)ის დაფუძნების საკითხია. რამდენადაც ფენომენოლოგია უწანამძღვრო მეცნიერებაა და მისი მთავარი საყრდენი ტრანსცენდენტალური ეგოა, ამდენად მისთვის რთულია სუბიექტურობიდან, ერთგვარი სოლიფსიზმიდან გამოსვლა და ინტერსუბიექტურ სივრცეში გაჭრა. წინამდებარე ნაშრომის მთავარი საკითხი სწორედ ინტერსუბიექტურობის საკითხის გარკვევაა. ამისთვის კი აუცილებელია ჯერ ფენომენოლოგიის იმ მახასიათებლებს და მეთოდუკას გავეცნოთ, რომელთა გარეშე შეუძლებელია არა თუ აღნიშნული საკითხის გარკვევა, არამედ საერთოდ პრობლემის დასმა.

შესაბამისად, პირველ რიგში განხილული იქნება ბუნებრივი მიდგომიდან ტრანსცენდენტალურ მიდგომაში გადასვლა ფენომენოლოგიური მეთოდის (ეპოხეს) მეშვეობით. მეორე თავი ინტენციონალობის ცნებას დაეთმობა და მხოლოდ ამის შემდეგ გადავალთ ნაშრომის მთავარ თემაზე. მესამე, ბოლო თავში შევეცდებით გავარკვიოთ თუ რამდენად ძალუმს ჰუსერლის ფილოსოფიას სხვა სუბიექტების სტატუსის ლეგიტიმური აღიარება და ასევე მოვნიშნავთ იმ მრავალფეროვან საშუალებებს, რომლებსაც გერმანელი ფილოსოფოსი იყენებს ინტერსუბიექტური სამყაროს დასაფუძნებლად. ამასთანავე, ჰუსერლის აზროვნების და სტილის ჰომოგენურობა შესაძლებლობებს მოგვცემს დავუბრუნდეთ წინა თავებში განხილულ საკითხებს და მათშივე დავინახოთ თუნდაც ჩანასახისეულ მდგომარეობაში არსებული ინტერსუბიექტურობა.

**საძიებო სიტყვები:** ეპოხე, ბუნებრივი მიდგომა, ტრანსცენდენტალური ეგო, ინტენციონალობა, ინტერსუბიექტურობა, სიცოცხლის სამყარო

## Abstract

The main challenge for Edmund Husserl's philosophy is the problem of establishing other subjects. Phenomenology is a presuppositionless science and its philosophical ground is the transcendental ego. So, taking this into consideration, it is difficult for this kind of science to get rid of initial solipsism and establish intersubjective community. The major topic of this paper is to solve the issue of intersubjectivity. And, for this, it is essential that we introduce ourselves to the basic characteristics and methods of phenomenology; for it wouldn't be possible without these preliminary investigations to arrive at the focal point, let alone solve it.

Therefore, first of all, we should review the transition from natural attitude to the transcendental one with the help of epoche. The second chapter will be spared for the explication of the concept of intentionality; and only at the end, in the third chapter, will we turn to the main issue and try to find out if Husserl's philosophy is able to give other subjects their due. This investigation will be accomplished according to Husserl's own diverse approaches to the issue of intersubjectivity. And also Husserl's homogenous thinking and style will give us an opportunity from time to time to get back to the content of the previous chapters and see in this content an already emerging (although in quite a rudimentary form) intersubjectivity.

**Key Words:** Epoche, Transcendental Attitude, Transcendental Ego, Intentionality, Intersubjectivity, Other, Lebenswelt.